# ო ქ მ ი # 5

## თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2017 წლის 10 ოქტომბრის სხდომისა

**სხდომას ესწრებოდნენ:**

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), ნ. ბერიკაშვილი, ვ. გარსევანიშვილი, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, ხ. ინასარიძე, ი. კიღურაძე, ვ. კოკილაშვილი, მ. მანია, ა. ხარაზიშვილი, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 12 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 12 წევრი);

ინსტიტუტის დირექტორობის კანდიდატი.: ნინო ფარცვანია.

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევა.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ დირექტორის კანდიდატურის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებულია ერთი კანდიდატი: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნინო ფარცვანია. ნ. ფარცვანია აკმაყოფილებს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2017 წლის 13 სექტემბრის ოქმი # 3-ით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესით“ დადგენილ მოთხოვნებს.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დირექტორობის კანდიდატის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა თავისი სამოქმედო პროგრამა.

*ს ა კ ი თ ხ ი  დ ა დ გ ა  კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა ზ ე.* ჩატარდა ღია კენჭისყრა.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 12, წინააღმდეგი - 0.

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

1) ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე **ერთხმად** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურად 5 წლის ვადით შერჩეულ იქნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნინო ფარცვანია.
2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურა ნინო ფარცვანია დასამტკიცებლად წარედგინოს თსუ აკადემიურ საბჭოს.

სხდომის თავმჯდომარე თ. ქადეიშვილი

სხდომის მდივანი მ. ჯიბლაძე